## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
## გენერალური დირექტორი

KA990125072320718

**№02/22** **08 / მაისი / 2018 წ.**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.

2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის: ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N4)

გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე

ბრძანება N02/22;  08.05.2018წ.

დანართი

| № | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. |  | წმ. ნიკოლოზის ეკლესია | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გრემი, (ძველ სასაფლაოზე) (GPS კოორდ. 42.015262°  45.685061°) | არქიტექტურის | XVI საუკუნე |
| 2. |  | თურგაანთ ეკლესია | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი (GPS კოორდ. 41.936194°  45.864500°) | არქიტექტურის / არქეოლოგიური | განვითარებული შუა საუკუნეები |
| 3. |  | ლაშარის დიდსალოცავი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი (GPS კოორდ. 41.952240°  45.807973°) | არქიტექტურის | XVIII-XIX საუკუნეების მიჯნა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4. |  | ფერისცვალების ეკლესია | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი (GPS კოორდ. 41.959264° 45.817163°) | არქიტექტურის | 1808 წელი |
| 5. |  | ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი, კ. მარჯანიშვილის ქ. (GPS კოორდ. 41.949640° 45.812975°) | არქიტექტურის | XVIII საუკუნე |
| 6. |  | ყველაწმინდის ეკლესია | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი (GPS კოორდ. 41.961330° 45.823545°) | არქიტექტურის | XVIII საუკუნე |
| 7. |  | ყორიანის ეკლესია | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი (GPS კოორდ. 41.943882° 45.884781°) | არქიტექტურის / არქეოლოგიური | განვითარებული შუა საუკუნეები |
| 8. |  | ყვარლის ციხე | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა (GPS კოორდ:41.947941 45.813094 41.948025 45.811833 41.946890 45.811664 41.946828 45.812957) | არქიტექტურის | XVIII საუკუნის პირველი ნახევარი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9. |  | ცხრაკარას ეკლესია | ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი (GPS კოორდ. 41.923552° 45.772110°) | არქიტექტურის | VIII-IX საუკუნეები |
| 10. |  | წინარეხის სკოლა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინარეხი (ს.კ.67.09.37.034) | მემორიალური | XIX საუკუნის 80-იანი წლები |
| 11. |  | ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინარეხი (GPS კოორდ. 41.837714° 44.447556° 41.837564° 44.447458° 41.837688° 44.447218° 41.837800° 44.447291°) | არქიტექტურის | 1588 წელი |
| 12. |  | წმ. თევდორეს ეკლესია | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინარეხი (GPS კოორდ. 41.832345° 44.450812°) | არქიტექტურის | ადრეული შუა საუკუნეები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13. |  | ჯვარპატიოსნის ეკლესია | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინარეხი (GPS კოორდ. 41.822734° 44.448150°) | არქიტექტურის | X საუკუნე |
| 14. |  | ყვავიჭამიას საყდარი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. გულგულა | არქიტექტურის | IX-X საუკუნეები |
| 15. |  | ხიდიჯვარის ეკლესია | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბუღაშენი (GPS კოორდ. 41.5211 43.517423) | არქიტექტურის | X საუკუნე |